ჯგუფი „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული
პერიოდისთვის

ჯგუფი „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცებაზე. 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 5

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 8

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 9-23

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 9
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები 14
4. წინა წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების გადაფასება 15
5. შემოსავალი 16
6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 16
7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები 17
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 17
9. ქონება და აღჭურვილობა **Error! Bookmark not defined.**
10. გაცემული სესხები 19
11. მარაგები 19
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 19
13. შეტანილი კაპიტალი 20
14. აღებული სესხები 20
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები 21
16. მეკავშირე მხარეთა ტრანზაქციები და ნაშთები 21
17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 22
18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 23

მმართველობითი ანგარიში 24

ჯგუფი "ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია"

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიის" („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ("ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის"). ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- საანგარიშგებო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევასა და განხორციელებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;;
- ჯგუფის უწყვეტად ფუნქციონირების მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობით ანგარიშგებაში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტებაზე;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა ან სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით

_____	_____
ჯიმშერ გურგენიძე	**ნინო შუბითიძე**
გენერალური დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიისა" და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") აქციონერებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიის" („კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება").

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ მოვალენი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ

ჩვენ არაფერი გვაქვს მოსახსენებელი ამ მხრივ.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა. ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე,

ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევარჩიეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სბრუჰი ჰაკობიანი
შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	5	4,237,460	4,459,225
გაყიდვების თვითღირებულება	6	(4,213,277)	(4,149,221)
მთლიანი მოგება		**24,183**	**310,004**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	7	(257,767)	(553,101)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,666,291)	(1,801,929)
ფინანსური შემოსავალი		79,993	29,880
ფინანსური ხარჯიები	14,15	(1,370,575)	(651,160)
საგრანტო შემოსავალი	14	311,645	91,128
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		105,623	(9,869)
საკურსო სხვაობით გამოწვეული სავალუტო ზარალი, წმინდა		(1,232,634)	(281,765)
ზარალი გადასახადებამდე		**(4,005,823)**	**(2,866,812)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(12,210)	(16,496)
წლიური ზარალი		**(4,018,033)**	**(2,883,308)**
განეკუთვნება:			
მშობელი კომპანიის აქციონერებს		(4,034,522)	(2,858,142)
არამაკონტროლებელ წილს		16,489	(25,166)
		(4,018,033)	**(2,883,308)**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული თანმხლები შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	9	10,476,971	3,036,387
არამატერიალური აქტივები		121,559	25,473
გაცემული სესხები	10	1,336,521	975,705
სულ გრძელვადიანი აქტივები		**11,935,051**	**4,037,565**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	11	5,682,407	5,603,506
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,250,660	2,147,843
გადახდილი ავანსები		134,932	126,075
		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები		171,829	166,033
სულ მიმდინარე აქტივები		**8,239,828**	**8,043,459**
სულ აქტივები		**20,174,879**	**12,081,022**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
შეტანილი კაპიტალი	13	7,573,411	11,014,554
დაგროვილი ზარალი		(13,080,701)	(9,046,179)
ჯგუფის მფლობელების დაგროვილი ზარალი		**(5,507,290)**	**1,968,375**
არამაკონტროლებელი წილი		18,729	2,240
სულ დაგროვილი ზარალი		**(5,488,561)**	**1,970,615**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
აღებული სესხები	14	11,406,902	5,728,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,982,463	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**17,389,365**	**5,728,933**
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	14	6,475,454	3,292,250
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	15	1,513,663	842,974
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		234,301	195,974
მოგების გადასახადი		50,657	50,276
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**8,274,075**	**4,381,474**
სულ ვალდებულებები		**25,663,440**	**10,110,407**
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		**20,174,879**	**12,081,022**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი "ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია"

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	მფლობელებზე მიკუთვნებული დაგროვილი ზარალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ დაგროვილი ზარალი
ნაშთი 1 იანვარი 2019		**10,160,792**	**(6,188,037)**	**3,972,755**	**27,406**	**4,000,161**
სულ წლიური ზარალი (გადაანგარიშებული)		-	(2,858,142)	(2,858,142)	(25,166)	**(2,883,308)**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	13	853,762	-	853,762	-	**853,762**
ნაშთი 31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)		**11,014,554**	**(9,046,179)**	**1,968,375**	**2,240**	**1,970,615**
სულ წლიური ზარალი		-	(4,034,522)	(4,034,522)	16,489	**(4,018,033)**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	13	155,027	-	155,027	-	**155,027**
კაპიტალის კლება	13	(3,596,170)	-	(3,596,170)	-	**(3,596,170)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2020		**7,573,411**	**(13,080,701)**	**(5,507,290)**	**18,729**	**(5,488,561)**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ზარალი გადასახადამდე		**(4,005,823)**	**(2,866,811)**
კორექტირება:			
ფინანსური შემოსავალი		(79,993)	(29,880)
ფინანსური ხარჯი		1,370,575	651,160
მოგების გადასახადის ხარჯი		12,210	
მარაგების მეტობა ფიზიკური გადათვლის შედეგად		(68,090)	-
გადახდილ ავანსებსა და სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი		305,727	124,815
ცვეთა და ამორტიზაცია		478,629	158,377
მასალების ჩამოწერა		-	391,077
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		1,232,6342	281,765
ფულადი გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**(754,131)**	**(1,289,497)**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:			
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		(347,254)	(1,370,032)
გადახდილი ავანსების ზრდა		(8,857)	(72,704)
მარაგების კლება/(ზრდა)		214,410	(15,157)
გადასახადების ზრდა მოგების გადასახადის გარდა		38,085	299,433
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა		777,081	68,872
ოპერაციებში გამოყენებული ნაღდი ფული		**(80,666)**	**(2,379,085)**
გადახდილი პროცენტი		(504,614)	(617,504)
გადახდილი მოგების გადასახადი		(11,834)	(13,009)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		**(597,114)**	**(3,009,598)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
კაპიტალური დანახარჯები ძირითად საშუალებებზე		(2,392,436)	(576,803)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(105,948)	(15,307)
სესხების გაცემა		(514,985)	(595,284)
გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი		386,809	87,879
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა		**(2,626,560)**	**(1,099,515)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი აღებული სესხებიდან		10,197,536	9,923,381
აღებული სესხების დაფარვა		(3,485,140)	(6,664,419)
კაპიტალის შემცირება	13	(3,596,170)	853,762
კაპიტალში შეტანა		155,027	
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		**3,271,253**	**4,112,724**
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(47,579)**	**3,611**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		166,033	142,007
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთებზე		(41,783)	20,415
		171,829	**166,033**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია" ("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია დ. აღმაშენებლის ქ. # 138 ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ბრენდული ღვინის წარმოებას და დისტრიბუციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 2017 წლის ივნისში კომპანიამ დააფუძნა 100% -იანი წილის შვილობილი შპს "შილდა დისტრიბუცია" და 51% -იანი წილის შვილობილი შპს "შილდა გ.ვ." ორივე შვილობილი კომპანია მონაწილეობს შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიისა“ და შპს "თელავი დისტილერის" მიერ წარმოებული საქონლის დისტრიბუციაში, რომელიც წარმოადგენს ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტს.

კომპანია არის ჯგუფის ძირითადი კომპანია და აერთიანებს ორივე შვილობილ კომპანიას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციონერები იყვნენ:

მეწილის სახელი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შპს "სმარტ კაპიტალ შილდა"	100%	100%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო აქციონერი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი. 2020 წლის დეკემბერში საბოლოო აქციონერთა სტრუქტურა შეიცვალა შემდეგნაირად: ივანე ჩხარტიშვილი – 51%, მიხეილ ჩხარტიშვილი და ნათია ჩხარტიშვილი – 24.5% და 24.5% შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა

შესაბამისობის განცხადება. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის (“IFRIC”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციებით.

კონსოლიდაციის საფუძველი. შვილობილი კომპანიები ის კომპანიებია, რომელთაც დამფუძნებელი აკონტროლებს. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესულია კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შიდა ტრანზაქციები, ნაშთები, შემოსავალი და ხარჯები კონსოლიდაციისას ურთიერთჩაითვლება. შვილობილი კომპანიების მოგებასა და ზარალში და წმინდა აქტივებში არასაკონტროლო წილები მოცემულია ცალკე და მოიცავს როგორც,არასაკონტროლო წილის ღირებულებას იმ თარიღის მდგომარეობით, როდესაც თავდაპირველად მოხდა დაჯგუფება,ასევე,კომბინაციის თარიღიდან კაპიტალის ცვლილების არასაკონტროლო წილს.

მომზადების საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და სააღრიცხვო პოლიტიკები მთელ პერიოდზე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაანალიზა ბაზარზე არსებული ვითარების გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აჩვენა დაგროვილი დეფიციტი, შესაბამისად, 13,080,701 ლარი, 9,046,179 ლარი.

გარდა ამისა, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფს ჰქონდა 4,018,033 ლარისა და 2,883,308 ლარის ოდენობის ზარალი და 735,902 ლარისა და 3,009,598 ლარის ოდენობის უარყოფითი ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან. ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია შემდეგი გარემოებების გამო:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები მთლიან მიმდინარე აქტივებს აჭარბებს 34,247 ლარით, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მიმდინარე აქტივები მთლიან მიმდინარე ვალდებულებებს აჭარბებდა 3,661,983 ლარით. ეს სხვაობა შემცირდა ფინანსური ინსტიტუტიდან მოკლევადიანი სესხის რეფინანსირების გამო. რეფინანსირებული სესხის ნაშთია 2,269,615 ლარი, აქედან 2,108,911 წარმოადგენს გრძელვადიან ნაწილს. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 1,479,458 ლარის ოდენობის მეკავშირე მხარისგან აღებული სესხი და 197,568 ლარის ოდენობის სავაჭრო ვალდებულება მეკავშირე მხარის მიმართ კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი. ჯგუფი და მასთან დაკავშირებული მხარეები იმართებიან საერთო მენეჯმენტის მიერ, შესაბამისად, ჯგუფს ადვილად შეუძლია სესხებზე მოლაპარაკება და მათი დაფარვის ვადის გაგრძელება ფინანსური სირთულეების შემთხვევაში.
- ჯგუფი გეგმავს ვენახების გაშენებას მარაგების ღირებულების შემცირებისა და მთლიანი მარჟის გაზრდის მიზნით. ვენახების გაშენება უკვე დაწყებულია.
- 2021 წელს ჯგუფმა გააფორმა ორი კონტრაქტი უცხოელ მომხმარებლებთან 2,500,000 აშშ დოლარის ოდენობით, რის შედეგადაც შემოსავალი შემდეგ პერიოდში 1,881,961 ლარით გაიზარდა. ასევე, დაკავშირებულმა მხარეებმა, რომელთათვისაც ჯგუფი ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმწოდებელია, 2021 წელს გააფორმეს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები 5,000,000 აშშ დოლარის ღირებულებით. 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა მოახერხა, გაყიდვები 2020 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 116%-ით გაეზარდა. საბოლოო მშობელი კომპანია – შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ აჩვენებს თავის მზაობას გააგრძელოს ჯგუფის საქმიანობის დაფინანსება. ეს დასტურდება შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფისგან“ მხარაჭერის წერილის მიღებით, 2021 წლის 30 სექტემბერს, რომელშიც გამოხატულია დამფუძნებლის მზადყოფნა, ხელი შეუწყოს ჯგუფის ოპერაციებს. ამის დასტურია ასევე შემდგომ პერიოდში შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფისგან“ დამატებითი დაფინანსების მიღება.

უცხოური ვალუტა – კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია მუშაობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი").უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გაცვლითი სხვაობით, მოცემულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ვალუტის კურსი

გაცვლითი კურსი წლის ბოლოს, რომელიც კომპანიამ გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ლარი/აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/აშშ დოლარი	4.0233	3.2095

ურთიერთჩათვლა . ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

შემოსავლის აღიარება – შემოსავალი მოიცავს საქონლის გასაყიდად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ჯგუფის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია წმინდა გაყიდვების ღირებულებით/დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და ჯგუფში შიდა გაყიდვების ელიმინაციის შემდეგ.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს, როცა: შემოსავლის ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი. სავარაუდოა, რომ სამომავლოდ ეკონომიკური მომგებიანობა აისახება ორგანიზაციაზე და კომპანიის აქტივობებთან დაკავშირებით შესრულდება ერთ- ერთი კრიტერიუმი, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

ა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია აწარმოებს და ყიდის მთელ რიგ ღვინის პროდუქტებს საბითუმო ბაზარზე. შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდების და გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ და როდესაც კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას იმ ხარისხით, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება მფლობელობასთან და არ ინარჩუნებს ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შემოსავლის ოდენობა ზუსტადაა აღრიცხული;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლიანობა კომპანიაზე აისახება; და
- დაკისრებული ან დასაკისრებელი ღირებულებები სარწმუნოდ იქნება განსაზღვრული.

ბ. შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან

კომპანია მუშაობს საცალო ვაჭრობის ობიექტებს ღვინის გაყიდვისთვის. საქონლის გაყიდვა აღიარებულია, როდესაც კომპანია მიჰყიდის პროდუქტს მომხმარებელს, რადგან კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა ოპერაციის განხორციელების დღეს. საცალო ვაჭრობა ჩვეულებრივ ხდება ნაღდი ფულის ან საკრედიტო ბარათის საშუალებით.

გადასახადის დაკისრება – საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია საანგარიშო თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კორპორატიული დაბეგვრის ამჟამინდელი მოდელის ცვლილება, რომლის ცვლილებებიც 2017 წლის 1 იანვარს განხორციელდა ყველა სუბიექტისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა. შეცვლილი მოდელი გულისხმობს გაუნაწილებელი მოგების კორპორატიული გადასახადის ნულოვან და განაწილებულ მოგებაზე 15% კორპორატიული გადასახადის განაკვეთს, განსხვავებით წინა მოდელისგან, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა .
ახალი საგადასახადო კანონმდებლობა 2017 წლის 1 იანვრიდანაა ძალაში. იგი ჯგუფზე და საგადასახადო დაწესებულებებზე ვრცელდება; საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებულ მოგებაზე;
- დაკისრებულ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების მარაგზე ან/და ფონდის ტრანსფერზე; და
- წარმომადგენლობის ხარჯს, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსში მოცემულ მაქსიმუმს.

განაწილებულ მოგებაზე საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია როგორც ხარჯი იმ მომენტისთვის, როდესაც დივიდენდები დეკლარირდება და აღირიცხება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადი" მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები იზომება იმ თანხით, რომელიც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისგან მიღებული ან გადახდილი თანხით.

გადასახადების შეცვლილი კონცეფციის გამო, აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12-ში „საშემოსავლო გადასახადი", არ გამოიყენება კორპორატიული დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები. – ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.
ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობები და ნაგებობები	5%
ავეჯი და მოწყობილობები	20%
საოფისე აღჭურვილობა	20%
ტრანსპორტი	20%
ტექნიკა და აღჭურვილობა	5-20%
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	20%

თუ არსებობს მინიშნება რომ მოხდა ცვეთის განაკვეთის,სასარგებლო სიცოცხლის ან აქტივის ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება, ამ აქტივის ცვეთა გადაიხედება პროსპექტიულად , რომ ასახოს ახალი მოლოდინები.

არამატერიალური აქტივები – - არამატერიალური აქტივები წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას. ამორტიზაციის აღიარება ხდება წრფივად შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში. ჯგუფის მფლობელობაში არსებული არამატერიალუი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შედგენს 5 წელს.

აქტივების გაუფასურება – ყოველი საანგარიშო თარიღისთვის ხდება ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის, არამატერიალური ქონებისა და ასოცირებულ კომპანიებში ინვესტიციების გადახედვა, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე მითითება იმისა, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურება. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენითი ღირებულება შეიძლება შეფასდეს და შევადაროთ მის საბალანსო ღირებულებას. თუ სავარაუდო ანაზღაურებადი თანხა უფრო დაბალია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის სავარაუდო ანაზღაურებად ოდენობამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, მარაგი ფასდება გაუფასურების მიზნით, ინვენტარის თითოეული საგნის საბალანსო ღირებულების (ან მსგავსი საგნების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებისას მისი გასაყიდი ღირებულების შემცირების და დასრულების ხარჯებთან. თუ ინვენტარის ერთეული (ან მსგავსი საგნების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გასაყიდი ფასის გამოკლებით დასრულების და გაყიდვის ხარჯებზე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შეცვალა, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან მასთან დაკავშირებული აქტივების ჯგუფი) იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებული შეფასებით (გასაყიდი ფასი, მარაგების შემთხვევაში, დასრულების და გაყიდვის ხარჯების გარეშე), მაგრამ არა იმ თანხაზე მეტი, რომელიც დადგენილი იქნებოდა, წინა წლის განმავლობაში აქტივისთვის (დაკავშირებული აქტივების ჯგუფისთვის) გაუფასურების ზარალის აღიარების შემთხვევაში. გაუფასურების ზარალის ანაზღაურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები – მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და რეალიზებადი ღირებულებით დაბალ ფასად. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების გაყიდვის სავარაუდო ფასს, დასრულების სავარაუდო ხარჯებისა და რეალიზაციისთვის საჭირო ხარჯების გამოკლებით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები – პირობითი ვალდებულებები არაა აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ისინი წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების შესაძლებლობა შორს არის. პირობითი აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაუდებელი შემთხვევა მოგვარდება.

ფინანსური ინსტრუმენტები – ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენის ან გამოცემისთვის (გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალისა), ემატება ან გამოიქვითება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებიდან, როგორც საჭიროა, თავდაპირველი აღიარების შესახებ. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეძენის ან ზარალის შეძენის შედეგად, მაშინვე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საწარმო ზომავს გრძელვადიან ფინანსურ სავალო ინსტრუმენტებს ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სესხის ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები ან მიმდინარე ვალდებულებები, იზომება ფულადი სახსრების არადისკონტირებული ოდენობით ან სხვა ანაზღაურებით, რომელის გადახდა ან მიღება მოსალოდნელია.

ფინანსური აქტივები – ჯგუფის ძირიტადი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი– ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებსა მოსალოდნელ მომავალ ფულად გადახდებს (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები *- ფული მოიცავს ნაღდ და საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულს.*

გაცემული სესხები – სესხები და სხვა მიღებული თანხები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული და განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც წარმოდგენილი არაა აქტიურ ბაზარზე. სესხები და სხვა ტიპის მიღებული თანხები იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების დანაკარგები, არსებობის შემთხვევაში.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება თუ არსებობს გაუფასურების ინდიკატორები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდგომ ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად, ინვესტიციის სავარაუდო ფულადი ნაკადები შეიცვალა.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით ანარიცხების ანგარიშის გამოყენებით. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას.. სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულ და მიღებულ ან მისაღები ანაზღაურებას შორის აღიარებულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები – კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახადებს და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსურ ვალდებულების აღიარებსს წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შეწყდება ან ვადა გაუვა. სხვაობა აღიარებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის ასახულია მოგება-ზარალისანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი – შეტანილი კაპიტალი კომპანიის მიერ აღიარებულია ჯგუფის მიერ მიღებული რეალური შენატანის ღირებულების მიხედვით.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე -2 შენიშვნაში, კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულია გააკეთოს შეფასებები და დაშვებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების შესახებ, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ ჩანს. შეფასებები და მასთან დაკავშირებული დაშვებები ემყარება გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები განიხილება მუდმივად. ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების ცვლილებები აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც შეფასების გადახედვა მოხდება, თუ გადასინჯვა აისახება მხოლოდ ამ პერიოდზე ან გადასინჯვის პერიოდში და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება – კომპანია ახორციელებს ინდივიდუალურ შეფასებას 90 დღის განმავლობაში ვადაგადაცილებული მომხმარებლის დებიტორული დავალიანების შესახებ. მომხმარებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, ალბათობა იმისა, რომ მომხმარებელი გაკოტრდება ან მოხდება ფინანსური რეორგანიზაცია ს, და გაკოტრება ან გადახდების გადავადება ითვლება დებიტორული დავალიანების გაუფასურების მაჩვენებლად.

ჯგუფმა აღიარა საეჭვო დავალიანებების რეზერვი 100% -ით ყველა მისაღები მოთხოვნის მიმართ, რომელთა ვადაც აღემატებოდა1 წლის რადგან ისტორიული გამოცდილების თანახმად, მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული იყო 1 წელზე მეტით , არ ანაზღაურდება. საეჭვო დავალიანების რეზერვები აღიარებულია 50%-ით სავაჭრო მისაღები თანხების მიმართ 181 დღიდან 1 წლამდე, ხოლო 20%-ითსავაჭრო მოთხოვნებზე 91 დღიდან 180 დღემდე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებისგან, თუკი ძირითადი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესება მოხდება, ან დეფოლტის რეალური შედეგები უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანარიცხების ოდენობა, შესაბამისად, 416,344 და 110,617 ლარს შეადგენს.

დაკავშირებული მხარის დაფინანსების ოპერაციების საწყისი აღიარება. კომპანია ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს თავისთან დაკავშირებულ მხარეებთან. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებების ფასი უფრო დაბალი საბაზრო ან არასაბაზრო პროცენტით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი ოპერაციებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველია მსგავსი ტიპის ტრანსაქციების ფასი დაუკავშირებელ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაუფასურების შეფასება. მენეჯმენტი ახორციელებს გაუფასურების ტესტს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობისთვის, რათა შეაფასოს კომპანიის აქტივების შესაძლებლობა მომავალი ფულადი ნაკადების წარმოქმნისთვის; მომავალი ფულადი ნაკადების განსაზღვრა მოითხოვს მნიშვნელოვან განსჯას.

მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა. 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეიძინა მიწა 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. 700,000 აშშ დოლარი გადაიხადეს ჯგუფზე საკუთრების გადაცემისთანავე, 2020 წლის 1 ოქტომბერს, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდის ვადა 2025 წელია. მენეჯმენტმა განსაზღვრა გადახდის სავარაუდო თარიღი 2023 წლის 31 დეკემბრამდე. შესაბამისად, თანხა დადისკონტირდა სავარაუდო გადახდის თარიღიდან და აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 5,982,462 ლარის ოდენობით

4. წინა წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების გადაანგარიშება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისა და ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ჯგუფმა გამოავლინა წინა პერიოდის ისტორიულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებული შეცდომები.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჯგუფმა სწორად არ ჩამოწერა მარაგების თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა გადათვალა მარაგების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დაადგინა, რომ გადათვლილი ნაშთი 308,148 ლარით აღემატებოდა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის უკვე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხას.

2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	წინა ჩვენებით	კორექტირება	გადაანგარიშებული
მარაგები	5,295,358	308,148	5,603,506
სულ აქტივები	**11,772,874**	**308,148**	**12,081,022**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(4,457,369)	308,148	(4,149,221)
წლიური ზარალი	**(3,191,456)**	**308,148**	**(2,883,308)**

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე გადაფასებას ჰქონდა შემდეგი ეფექტი:

	წინა ჩვენებით	კორექტირება	გადაანგარიშებული
დაგროვილი ზარალი	(9,354,327)	308,148	(9,046,179)
სულ კაპიტალი	**1,662,467**	**308,148**	**1,970,615**

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე გადაანგარიშებას ჰქონდა შემდეგი ეფექტი:

	წინა ჩვენებით	კორექტირება	გადაანგარიშებული
ზარალი გადასახადებამდე	(3,174,960)	308,148	(2,866,812)
ცვლილება მარაგებში	292,992	(308,148)	(15,157)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	**(3,009,598)**	**-**	**(3,009,598)**

ვინაიდან 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებ ინფორმაციაზე წინა პერიოდის შეცდომას არსებითი ეფექტი არ ჰქონია, 2019 წლის 1 იანვრის ფინანსური მდგომარეობის მესამე ანგარიშგება წარმოდგენილი არ არის.

5. შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფის შემოსავლები შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	2019
შემოსავალი საბითუმო გაყიდვიდან	3,971,253	4,131,375
შემოსავალი საცალო გაყიდვიდან	266,207	327,850
სულ	**4,237,460**	**4,459,225**

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგებოდა:

	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ბითუმად გაყიდული საქონლის თვითღირებულება	3,970,283	3,792,596
საცალოდ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	242,994	356,625
სულ	**4,213,277**	**4,149,221**

7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები შედგებოდა:

	2020	2019
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	136,417	309,625
ტრანსპორტირებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	121,350	218,035
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	-	25,441
სულ	**257,767**	**553,101**

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა:

	2020	2019
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	753,538	489,368
გაუფასურების ხარჯები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, წმინდა	305,727	124,815
ქირის ხარჯები	130,670	137,338
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	98,396	57,280
საკონსულტავიო ხარჯები	64,463	77,063
მივლინების ხარჯები	45,106	154,483
ლაბორატორიის ხარჯები	34,918	35,007
ქონების გადასახადის ხარჯი	34,020	31,865
მასალების ჩამოწერა	24,141	391,077
ჩამოწერილ მარაგებზე დარიცხული გადასახადები	-	205,634
სხვა საოპერაციო ხარჯები	175,312	97,999
სულ	**1,666,291**	**1,801,929**

9. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ძირითადი საშუალებების მოძრაობას:

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და აქსესუარები	საოფისე ტექნიკა	ავტოსატრანს პორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი 2019	**26,310**	**2,164,027**	**2,993,552**	**268,575**	**55,960**	**24,239**	**5,182**	**5,537,845**
შეძენა	285,420	33,095	137,398	12,761	41,320	62,783	-	572,777
31 დეკემბერი 2019	**311,730**	**2,197,122**	**3,130,950**	**281,336**	**97,280**	**87,022**	**5,182**	**6,110,622**
შეძენა	7,991,936	96,318	10,958	7,041	28,318	-	-	8,134,571
31 დეკემბერი 2020	**8,303,666**	**2,293,440**	**3,141,908**	**288,377**	**125,598**	**87,022**	**5,182**	**14,245,193**
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2019	**-**	**295,252**	**1,862,733**	**108,185**	**18,980**	**7,079**	**972**	**2,293,201**
ცვეთის დარიცხვა	-	106,983	605,045	48,605	10,015	10,157	229	781,034
31 დეკემბერი 2019	**-**	**402,235**	**2,467,778**	**156,790**	**28,995**	**17,236**	**1,201**	**3,074,235**
ცვეთის დარიცხვა	-	106,549	504,104	19,803	44,781	17,435	1,315	693,987
31 დეკემბერი 2020	**-**	**508,784**	**2,971,882**	**176,593**	**73,776**	**34,671**	**2,516**	**3,768,222**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	**311,730**	**1,794,887**	**663,172**	**124,546**	**68,285**	**69,786**	**3,981**	**3,036,387**
31 დეკემბერი 2020	**8,303,666**	**1,784,656**	**170,026**	**111,784**	**51,822**	**52,351**	**2,666**	**10,476,971**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს მთლიანი ძირითადი საშუალებები გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 14).

10. გაცემული სესხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხების პირობები შემდეგი იყო:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
თელავის დისტილერი	USD	9%	2027	1,336,521	975,705
სულ გაცემული სესხები				**1,336,521**	**975,705**
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				-	-
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				1,336,521	975,705

11. მარაგები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგები შემდეგნაირი იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
ნედლეული და შესაფუთი მასალები	1,220,903	965,767
მიმდინარე წარმოება	4,067,881	4,104,034
მზა პორდუქცია	384,698	518,186
სხვა	8,925	15,519
სულ	**5,682,407**	**5,603,506**

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,667,004	2,258,460
გამოკლებული: საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(416,344)	(110,617)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	**2,250,660**	**2,147,843**

მოძრაობა საეჭვო მოთხოვნრების ანარიცხებში:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	**(110,617)**	**(30,038)**
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(305,727)	(80,579)
ნაშთი წლის ბოლოს	**(416,344)**	**(110,617)**

13. შეტანილი კაპიტალი

2019 წლის განმავლობაში საბოლოო აქციონერმა შეიტანა დამატებითი შენატანები, 853,762 ლარის ოდენობით.

2020 წლის განმავლობაში საბოლოო აქციონერმა შეიტანა დამატებითი შენატანები 155,027 ლარის ოდენობით და შეამცირა შეტანილი კაპიტალი 3,596,170 ლარის ოდენობით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეტანილმა კაპიტალმა შეადგინა 7,573,411 და 11,014,554 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

14. აღებული სესხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი აღებული სესხების პირობები იყო შემდეგი:

აღებული სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	11/03/2021	3,676,079	-
„კახეთი 3000"	USD	8.0%	01/10/2023	3,632,477	1,825,682
შპს „თობაქო ჰოლდინგი"	USD	7.4%	02/10/2021	2,487,540	2,027,068
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	14/09/2030	2,269,625	-
შპს „სმარტ თრეიდინგი"	USD	9.0%	25/02/2021	1,479,458	-
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	13.0%	16/09/2026	1,302,363	1,207,362
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	GEL	12.0%	04/03/2022	877,766	-
შპს „სმარ კაპიტალ გრუპი"	GEL	11.7%	13/11/2024	872,492	-
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	GEL	14.0%	07/08/2022	443,746	692,154
შპს „სმარ კაპიტალ გრუპი"	GEL	11.2%	13/11/2024	324,458	293,699
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	04/09/2030	292,392	-
თელავის ღვინის ქარხანა	USD	9.0%	25/07/2022	126,264	102,459
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	04/09/2030	97,696	-
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	16/03/2020	-	2,872,759
სულ აღებული სესხები				**17,882,356**	**9,021,183**
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				6,475,454	3,292,250
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				11,406,902	5,728,933

სს „ჰალიკ ბანკი საქართველოსგან" აღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე (იხ. შენიშვნა 9).

ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან ("APMA"), რომლის თანახმად, APMA აფინანსებს სს „ჰალიკ ბანკი საქართველოსგან" 14% -იანი სესხის პროცენტიდან 11% -ს. თანადაფინანსების ხანგრძლივობაა 66 თვე და APMA წარმოადგენს სესხის ძირი თანხის 50% -ის გარანტს, თუ უზრუნველყოფის რეალიზაცია არ დაფარავს ფინანსური ინსტიტუტის წინაშე ვალდებულებას. შემოსავალი APMA-დან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში წარმოადგენს 311,645 ლარსა და 91,128 ლარს შესაბამისად და კლასიფიცირდება როგორც საგრანტო შემოსავალი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ფინანსური ხარჯი აღებულ სესხებზე წარმოადგენს 1,256,880 ლარსა და 651,160 ლარს.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მისი ნასესხები სახსრებისთვის, დაფარვის შეთანხმებული პერიოდებით, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
<3 თვე	5,308,887	2,850,012
3-12 თვე	1,166,567	442,238
>12 თვე	11,406,902	5,728,933
	17,882,356	**9,021,183**

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი		
სავაჭრო გადასახდელები	1,454,846	811,029
მიღებული ავანსები	39,086	11,451
სხვა გადასახდელები	19,731	20,494
სულ	**1,513,663**	**842,974**
გრძელვადიანი		
სავაჭრო გადასახდელი მიწის შესყიდვიდან	5,982,463	-
სულ	**5,982,463**	**-**

გრძელვადიანი გადასახდელები მოიცავს 2020 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის გადასახდელებს. მათი დაფარვის ვადა გადის 2025 წლის დეკემბერში. ფინანსური ხარჯი შეადგენს 113,695 ლარს.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები:

	31 დეკემბერი 2020			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
გაცემული სესხები	-	1,336,521	-	**1,336,521**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	470,463	810,828	**2,250,660**
მიღებული სესხები	1,196,950	4,093,262	3,632,477	**17,882,356**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	32,223	165,345	**1,513,663**

	2020			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
შემოსავალი	23,464	398,697	1,451,550	**4,237,460**
ფინანსური შემოსავალი	-	79,993	-	**79,993**
ფინანსური ხარჯი	50,702	371,831	263,903	**1,370,575**

	31 დეკემბერი 2019			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
გაცემული სესხები	-	975,705	-	**975,705**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	22,915	1,145,757	**2,147,843**
აღებული სესხები	293,699	2,129,527	1,825,682	**9,021,183**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	4,931	183,345	**842,974**

	2019			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
შემოსავალი	-	69,716	2,215,082	**4,459,225**
ფინანსური შემოსავალი	-	29,880	-	**29,880**
ფინანსური ხარჯი	-	86,817	90,987	**651,160**

ძირითადი მმართველი პერსონალის ანაზღაურება

2020 და 2019 წლების განმავლობასი მენეჯმენტის ანაზღაურება განისაზღვრა 191,250 ლარითა და 122,000 ლარით, შესაბამისად.

17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები -2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არსებითი გარანტიები არ ჰქონია.

სამართალებრივი დავები – 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე დავის სამართალწარმოებაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება არ მოხდება და შესაბამისად, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული დებულებები.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანზაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო წლები საგადასახადო ორგანოების განსახილველად ღია 3 წლის განმავლობაში რჩება.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

კოვიდ-19 – გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რასაც 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. ბევრი ქვეყნის მიერ კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად მიღებული ზომები მრავალი კომპანიისათვის მნიშვნელოვან საოპერაციო შეფერხებებს იწვევს და დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაციის სწრაფი განვითარების გამო, ამან შეიძლება ბევრ სექტორში მოღვაწე კომპანიის ბიზნესებზე იმოქმედოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეაფერხოს ბიზნესის ოპერირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ან ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების ქსელის გაწყვეტის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო. შედეგად, ჯგუფზე კოვიდ-19-ის მზარდი ეფექტი შეიძლება აისახოს გლობალურ ეკონომიკაზე და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამო. კომპანიის ხელმძღვანელობა აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციაში მიმდინარე ცვლილებებს და იღებს აუცილებელ ზომებს ახლო მომავალში ჯგუფის სტაბილურობისა და განვითარების ტენდენციის შესანარჩუნებლად. თუმცა, ჯგუფის ბიზნესზე კოვიდ-19-ის ეფექტის მნიშვნელობა დიდწილადაა დამოკიდებული ხანგრძლივობასა და მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტზე. ამჟამად ჯგუფის ოპერაციების მომავალ შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ეკონომიკური გარემოს ცვლილებების ეფექტის დადგენა რთულია.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წელს ჯგუფმა მიიღო 1,814,455 ლარის ღირებულების დამატებითი დაფინანსება საბოლოო მშობელი კომპანია შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფისგან“.

ჯგუფმა გადაუხადა სს „ხალიკ ბანკ საქართველოს” 3,676,079 ლარის სესხი და მიიღო იმავე ღირებულების ახალი სესხი დაფარვის ვადით 2022 წლის 10 მარტამდე და 8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი.

ჯგუფმა მიიღო სს „ხალიკ ბანკი საქართველოსგან“ 340,000 აშშ დოლარის სესხი მოსავლის აღების მიზნით. სესხი დაფარვის ვადაა 2023 წლის 15 სექტემბერი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

მმართველობითი ანგარიშგება

ქვეყნის მიმოხილვა

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, კერძოდ კავკასიაში. 2008 წლიდან მოყოლებული, საქართველომ მსხვილ პარტნიორ ქვეყნებთან გააფორმა ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ. ასევე ძალიან სტაბილური და სანდოა საბანკო სისტემა. ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასულია ორი მთავარი ბანკი, რომლებიც ხელმისაწვდომ ფინანსებს უზრუნველყოფს. ეს კი წარმატებული ბიზნესის ერთერთი მთავარი წინაპირობაა.

ქართული ღვინო სხვადასხვა ქვეყანაში 284 კომპანიას გააქვს და ადგილობრივ ბაზარზეც მოიხმარნ. ბოლოდროინდელი მონაცემებით, საქართველოსთვის ხუთი მთავარი საექსპორტო ბაზარია რუსეთი (58 მილიონი ბოთლი), უკრაინა (11 მილიონი ბოთლი), პოლონეთი (5.2 მილიონი ბოთლი), ჩინეთი (4.6 მილიონი ბოთლი) და ბელორუსია (3.7 მილიონი ბოთლი). ასევე საგრძნობლად გაზრდილია გაყიდვები გერმანიაში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში.

ჯგუფის მიმოხილვა

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია დავით აღმაშენებლის ქუჩა 179 ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბრენდირებული ღვინის წარმოება და დისტრიბუცია საქართველოში და საზღვარგარეთ. 2017 წლის ივნისში კომპანიამ დააფუძნა 100%-იანი წილით ფლობილი შვილობილი შპს „შილდა დისტრიბუცია“ და 51%-იანი წილით ფლობილი შვილობილი შპს „შილდა ჯივი“. ორივე შვილობილი დაკავებულია ღვინის დისტრიბუციით, რომელიც წარმოებულია „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიისა“ და ერთობლივ კონტროლქვეშ მოქცეული პირის შპს „თელავის ღვინის ქარხნის“ მიერ.

ჯგუფის წარმოება ფრანგული და იტალური აღჭურვილობითაა წარმოდგენილი. მისი წლიური წარმადობა შვიდი მილიონი ბოთლია, ხოლო 52 ავზში 1,500,000 ლიტრი ღვინის შენახვა შეიძლება. მეღვინეობის მთავარი მიზანია მაღალი ხარისხის შენარჩუნება საუკუნოვანი ცოდნისა და ინოვაციების კომბინირების საფუძველზე.

ჯგუფის ღვინოები საერთაშორისო დონეზეა აღიარებული და გაუმარჯვია პრესტიჟულ კონკურსებზე, მათ შორის „დეკანტერში“, „მუნდუს ვინიში“, „ინთერნეიშენალ ვაინ ჩელენჯში“ და სხვა.

ამჟამად ჯგუფი აწარმოებს ოცზე მეტი დასახელების ღვინოს.

არაფინანსური ინფორმაცია

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიამ“ გაყიდვები 2017 წელს დაიწყო და ერთ წელიწადში მიაღწია წელიწადში 1 მილიონი ბოთლის გაყიდვების მოცულობას. კერძოდ:

- გაყიდვების 76% მოდის რუსეთზე;
- გაყიდვების 9% მოდის ჩინეთზე;
- გაყიდვების 5% მოდის ბრაზილიაზე;
- გაყიდვების 10% მოდის ევროპაზე.

კომპანიის უმსხვილესი კლიენტები არიან რუსეთიდან („ვინისტილი“, „ალიანტა გრუპი“, სავაჭრო სახლი „რუსიმპორტი“) და ჩინეთიდან („შანგჰაი ქი პან ტრეიდინგ კო“, „აგრიქალჩარ გრუპი“, „ფოშან ბლექ სი ვაინ კო“).

2021 წელს კომპანიების ღვინოები წარმოდგენილია რუსეთის უმსხვილეს ეროვნულ საცალო მაღაზიაში - „წითელი & თეთრი“)

ამავე წლის შემოდგომაზე კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულებები „ამბერ დისტრიბუციასთან“ (ბალტიისპირეთის უმსხვილესი იმპორტიორი), „იმპორტ საუდასთან“ (ქართული ღვინის მეორე უმსხვილესი იმპორტიორი ყაზახეთში) და „მონტე ბიანკოსთან“ (ყაზახეთში პრემიუმ ღვინის ერთ -ერთი უმსხვილესი იმპორტიორი).

პირის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

ჯგუფის გაყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება კრედიტით. კრედიტის ვადები ნულიდან 60 დღემდე მერყეობს. ჯგუფში არის ვადაგადაცილებული მოთხოვნების ნაშთები, რომელთა რეზერვირდება კომპანიის ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვირების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან კრედიტის ვადა ნულიდან 60 დღემდე მერყეობს.

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, წარმოების მიზანი და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	სავალუტო რისკი - საქონლის ნაწილის ყიდვა-გაყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი. ამ ფაქტის გამო, პრობლემატურია აგრეთვე ფასის კორექტირება.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებას, ადგენს მოკლე და გრძელვადიან მოლოდინებს და შესაბამისად გეგმავს ყოველთვიურ და ყოველწლიურ ბიუჯეტებს.
2	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მოგებაზე.	მენეჯმენტი ყურადღბით აკვირდება პოლიტიკურ მოვლენებს, რათა განჭვრიტოს პოტენციური შედეგები და გააკეთოს აუცილებელი და ადეკვატური ცვლილებები.
3	კოვიდ-19-ის რისკი - ბიზნესის ოპერაციების შეწყვეტამ, წარმოების შეწყვეტის ან ობიექტების დახურვის გამო, მიწოდების ქსელის ჩავარდნამ, პერსონალის კარანტინმა შეამცირა მოთხოვნა და გაართულა დაფინანსების მოზიდვა.	მენეჯმენტი ყველა ზომასა და ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციას ითვალისწინებს, რათა ოპერაციები შესაბამისობაში იყოს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან და ჯგუფს არ მოუხდეს ოპერირების შეწყვეტა.

მომავალი პერსპექტივა

ალკოჰოლურ პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება. კომპანიას დაგეგმილი აქვს, 2021 წლისათვის წელიწადში 3 მილიონი ბოთლის გაყიდვებს მიაღწიოს და შემდგომ წლებში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზარდოს.

ჯგუფი გეგმავს ვენახების გაშენებას მარაგების თვითღირებულების შემცირებისა და მთლიანი მარჟის გაზრდის მიზნით. ვენახების გაშენება უკვე დაწყებულია.

ჯგუფი „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული
პერიოდისთვის

ჯგუფი „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცებაზე.	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:	
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	8
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	**9-23**
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები	14
4. წინა წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების გადაფასება	15
5. შემოსავალი	16
6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16
7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	17
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
9. ქონება და აღჭურვილობა	**Error! Bookmark not defined.**
10. გაცემული სესხები	19
11. მარაგები	19
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
13. შეტანილი კაპიტალი	20
14. აღებული სესხები	20
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	21
16. მეკავშირე მხარეთა ტრანზაქციები და ნაშთები	21
17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	22
18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	23
მმართველობითი ანგარიში	24

ჯგუფი "ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია"

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიის" („კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ("ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის"). ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- საანგარიშგებო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევასა და განხორციელებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;;
- ჯგუფის უწყვეტად ფუნქციონირების მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობით ანგარიშგებაში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტებაზე;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა ან სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2021

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიისა" და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") აქციონერებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიის" („კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება").

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ მოვალენი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ

ჩვენ არაფერი გვაქვს მოსახსენებელი ამ მხრივ.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა. ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე,

ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევარჩიეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სბრუჰი ჰაკობიანი
შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	5	4,237,460	4,459,225
გაყიდვების თვითღირებულება	6	(4,213,277)	(4,149,221)
მთლიანი მოგება		**24,183**	**310,004**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	7	(257,767)	(553,101)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,666,291)	(1,801,929)
ფინანსური შემოსავალი		79,993	29,880
ფინანსური ხარჯიები	14,15	(1,370,575)	(651,160)
საგრანტო შემოსავალი	14	311,645	91,128
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		105,623	(9,869)
საკურსო სხვაობით გამოწვეული სავალუტო ზარალი, წმინდა		(1,232,634)	(281,765)
ზარალი გადასახადებამდე		**(4,005,823)**	**(2,866,812)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(12,210)	(16,496)
წლიური ზარალი		**(4,018,033)**	**(2,883,308)**
განეკუთვნება:			
მშობელი კომპანიის აქციონერებს		(4,034,522)	(2,858,142)
არამაკონტროლებელ წილს		16,489	(25,166)
		(4,018,033)	**(2,883,308)**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული თანმხლები შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	9	10,476,971	3,036,387
არამატერიალური აქტივები		121,559	25,473
გაცემული სესხები	10	1,336,521	975,705
სულ გრძელვადიანი აქტივები		**11,935,051**	**4,037,565**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	11	5,682,407	5,603,506
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,250,660	2,147,843
გადახდილი ავანსები		134,932	126,075
		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები		171,829	166,033
სულ მიმდინარე აქტივები		**8,239,828**	**8,043,459**
სულ აქტივები		**20,174,879**	**12,081,022**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
შეტანილი კაპიტალი	13	7,573,411	11,014,554
დაგროვილი ზარალი		(13,080,701)	(9,046,179)
ჯგუფის მფლობელების დაგროვილი ზარალი		**(5,507,290)**	**1,968,375**
არამაკონტროლებელი წილი		18,729	2,240
სულ დაგროვილი ზარალი		**(5,488,561)**	**1,970,615**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
აღებული სესხები	14	11,406,902	5,728,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,982,463	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**17,389,365**	**5,728,933**
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	14	6,475,454	3,292,250
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	15	1,513,663	842,974
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		234,301	195,974
მოგების გადასახადი		50,657	50,276
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**8,274,075**	**4,381,474**
სულ ვალდებულებები		**25,663,440**	**10,110,407**
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		**20,174,879**	**12,081,022**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	მფლობელებზე მიკუთვნებული დაგროვილი ზარალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ დაგროვილი ზარალი
ნაშთი 1 იანვარი 2019		**10,160,792**	**(6,188,037)**	**3,972,755**	**27,406**	**4,000,161**
სულ წლიური ზარალი (გადაანგარიშებული)		-	(2,858,142)	(2,858,142)	(25,166)	**(2,883,308)**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	13	853,762	-	853,762	-	**853,762**
ნაშთი 31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)		**11,014,554**	**(9,046,179)**	**1,968,375**	**2,240**	**1,970,615**
სულ წლიური ზარალი		-	(4,034,522)	(4,034,522)	16,489	**(4,018,033)**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	13	155,027	-	155,027	-	**155,027**
კაპიტალის კლება	13	(3,596,170)	-	(3,596,170)	-	**(3,596,170)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2020		**7,573,411**	**(13,080,701)**	**(5,507,290)**	**18,729**	**(5,488,561)**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარებში)

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ზარალი გადასახადამდე		**(4,005,823)**	**(2,866,811)**
კორექტირება:			
ფინანსური შემოსავალი		(79,993)	(29,880)
ფინანსური ხარჯი		1,370,575	651,160
მოგების გადასახადის ხარჯი		12,210	
მარაგების მეტობა ფიზიკური გადათვლის შედეგად		(68,090)	-
გადახდილ ავანსებსა და სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული			
გაუფასურების ზარალი		305,727	124,815
ცვეთა და ამორტიზაცია		478,629	158,377
მასალების ჩამოწერა		-	391,077
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		1,232,6342	281,765
ფულადი გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**(754,131)**	**(1,289,497)**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:			
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		(347,254)	(1,370,032)
გადახდილი ავანსების ზრდა		(8,857)	(72,704)
მარაგების კლება/(ზრდა)		214,410	(15,157)
გადასახადების ზრდა მოგების გადასახადის გარდა		38,085	299,433
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა		777,081	68,872
ოპერაციებში გამოყენებული ნაღდი ფული		**(80,666)**	**(2,379,085)**
გადახდილი პროცენტი		(504,614)	(617,504)
გადახდილი მოგების გადასახადი		(11,834)	(13,009)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		**(597,114)**	**(3,009,598)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
კაპიტალური დანახარჯები ძირითად საშუალებებზე		(2,392,436)	(576,803)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(105,948)	(15,307)
სესხების გაცემა		(514,985)	(595,284)
გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი		386,809	87,879
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა		**(2,626,560)**	**(1,099,515)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი აღებული სესხებიდან		10,197,536	9,923,381
აღებული სესხების დაფარვა		(3,485,140)	(6,664,419)
კაპიტალის შემცირება	13	(3,596,170)	853,762
კაპიტალში შეტანა		155,027	
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		**3,271,253**	**4,112,724**
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(47,579)**	**3,611**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		166,033	142,007 20,415
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთებზე		(41,783)	
		171,829	**166,033**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია" ("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია დ. აღმაშენებლის ქ. # 138 ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ბრენდული ღვინის წარმოებას და დისტრიბუციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 2017 წლის ივნისში კომპანიამ დააფუძნა 100% -იანი წილის შვილობილი შპს "შილდა დისტრიბუცია" და 51% -იანი წილის შვილობილი შპს "შილდა გ.ვ." ორივე შვილობილი კომპანია მონაწილეობს შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიისა“ და შპს "თელავი დისტილერის" მიერ წარმოებული საქონლის დისტრიბუციაში, რომელიც წარმოადგენს ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტს.

კომპანია არის ჯგუფის ძირითადი კომპანია და აერთიანებს ორივე შვილობილ კომპანიას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციონერები იყვნენ:

მეწილის სახელი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შპს "სმარტ კაპიტალ შილდა"	100%	100%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო აქციონერი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი. 2020 წლის დეკემბერში საბოლოო აქციონერთა სტრუქტურა შეიცვალა შემდეგნაირად: ივანე ჩხარტიშვილი – 51%, მიხეილ ჩხარტიშვილი და ნათია ჩხარტიშვილი – 24.5% და 24.5% შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა

შესაბამისობის განცხადება. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის (“IFRIC”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციებით.

კონსოლიდაციის საფუძველი. შვილობილი კომპანიები ის კომპანიებია, რომელთაც დამფუძნებელი აკონტროლებს. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესულია კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შიდა ტრანზაქციები, ნაშთები, შემოსავალი და ხარჯები კონსოლიდაციისას ურთიერთჩაითვლება. შვილობილი კომპანიების მოგებასა და ზარალში და წმინდა აქტივებში არასაკონტროლო წილები მოცემულია ცალკე და მოიცავს როგორც,არასაკონტროლო წილის ღირებულებას იმ თარიღის მდგომარეობით, როდესაც თავდაპირველად მოხდა დაჯგუფება,ასევე,კომბინაციის თარიღიდან კაპიტალის ცვლილების არასაკონტროლო წილს.

მომზადების საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და სააღრიცხვო პოლიტიკები მთელ პერიოდზე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაანალიზა ბაზარზე არსებული ვითარების გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აჩვენა დაგროვილი დეფიციტი, შესაბამისად, 13,080,701 ლარი, 9,046,179 ლარი.

გარდა ამისა, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფს ჰქონდა 4,018,033 ლარისა და 2,883,308 ლარის ოდენობის ზარალი და 735,902 ლარისა და 3,009,598 ლარის ოდენობის უარყოფითი ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან. ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია შემდეგი გარემოებების გამო:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები მთლიან მიმდინარე აქტივებს აჭარბებს 34,247 ლარით, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მიმდინარე აქტივები მთლიან მიმდინარე ვალდებულებებს აჭარბებდა 3,661,983 ლარით. ეს სხვაობა შემცირდა ფინანსური ინსტიტუტიდან მოკლევადიანი სესხის რეფინანსირების გამო. რეფინანსირებული სესხის ნაშთია 2,269,615 ლარი, აქედან 2,108,911 წარმოადგენს გრძელვადიან ნაწილს. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 1,479,458 ლარის ოდენობის მეკავშირე მხარისგან აღებული სესხი და 197,568 ლარის ოდენობის სავაჭრო ვალდებულება მეკავშირე მხარის მიმართ კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი. ჯგუფი და მასთან დაკავშირებული მხარეები იმართებიან საერთო მენეჯმენტის მიერ, შესაბამისად, ჯგუფს ადვილად შეუძლია სესხებზე მოლაპარაკება და მათი დაფარვის ვადის გაგრძელება ფინანსური სირთულეების შემთხვევაში.
- ჯგუფი გეგმავს ვენახების გაშენებას მარაგების ღირებულების შემცირებისა და მთლიანი მარჟის გაზრდის მიზნით. ვენახების გაშენება უკვე დაწყებულია.
- 2021 წელს ჯგუფმა გააფორმა ორი კონტრაქტი უცხოელ მომხმარებლებთან 2,500,000 აშშ დოლარის ოდენობით, რის შედეგადაც შემოსავალი შემდეგ პერიოდში 1,881,961 ლარით გაიზარდა. ასევე, დაკავშირებულმა მხარეებმა, რომელთათვისაც ჯგუფი ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმწოდებელია, 2021 წელს გააფორმეს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები 5,000,000 აშშ დოლარის ღირებულებით. 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა მოახერხა, გაყიდვები 2020 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 116%-ით გაეზარდა. საბოლოო მშობელი კომპანია – შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ აჩვენებს თავის მზაობას გააგრძელოს ჯგუფის საქმიანობის დაფინანსება. ეს დასტურდება შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფისგან“ მხარაჭერის წერილის მიღებით, 2021 წლის 30 სექტემბერს, რომელშიც გამოხატულია დამფუძნებლის მზადყოფნა, ხელი შეუწყოს ჯგუფის ოპერაციებს. ამის დასტურია ასევე შემდგომ პერიოდში შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფისგან“ დამატებითი დაფინანსების მიღება.

უცხოური ვალუტა – კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია მუშაობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი").უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გაცვლითი სხვაობით, მოცემულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ვალუტის კურსი

გაცვლითი კურსი წლის ბოლოს, რომელიც კომპანიამ გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ლარი/აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/აშშ დოლარი	4.0233	3.2095

ურთიერთჩათვლა . ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

შემოსავლის აღიარება – შემოსავალი მოიცავს საქონლის გასაყიდად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ჯგუფის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია წმინდა გაყიდვების ღირებულებით/დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და ჯგუფში შიდა გაყიდვების ელიმინაციის შემდეგ.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს, როცა: შემოსავლის ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი. სავარაუდოა, რომ სამომავლოდ ეკონომიკური მომგებიანობა აისახება ორგანიზაციაზე და კომპანიის აქტივობებთან დაკავშირებით შესრულდება ერთ- ერთი კრიტერიუმი, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

ა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია აწარმოებს და ყიდის მთელ რიგ ღვინის პროდუქტებს საბითუმო ბაზარზე. შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდების და გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ და როდესაც კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას იმ ხარისხით, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება მფლობელობასთან და არ ინარჩუნებს ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შემოსავლის ოდენობა ზუსტადაა აღრიცხული;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლიანობა კომპანიაზე აისახება; და
- დაკისრებული ან დასაკისრებელი ღირებულებები სარწმუნოდ იქნება განსაზღვრული.

ბ. შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან

კომპანია მუშაობს საცალო ვაჭრობის ობიექტებს ღვინის გაყიდვისთვის. საქონლის გაყიდვა აღიარებულია, როდესაც კომპანია მიჰყიდის პროდუქტს მომხმარებელს, რადგან კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა ოპერაციის განხორციელების დღეს. საცალო ვაჭრობა ჩვეულებრივ ხდება ნაღდი ფულის ან საკრედიტო ბარათის საშუალებით.

გადასახადის დაკისრება – საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია საანგარიშო თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კორპორატიული დაბეგვრის ამჟამინდელი მოდელის ცვლილება, რომლის ცვლილებებიც 2017 წლის 1 იანვარს განხორციელდა ყველა სუბიექტისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა. შეცვლილი მოდელი გულისხმობს გაუნაწილებელი მოგების კორპორატიული გადასახადის ნულოვან და განაწილებულ მოგებაზე 15% კორპორატიული გადასახადის განაკვეთს, განსხვავებით წინა მოდელისგან, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა .
ახალი საგადასახადო კანონმდებლობა 2017 წლის 1 იანვრიდანაა ძალაში. იგი ჯგუფზე და საგადასახადო დაწესებულებებზე ვრცელდება; საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებულ მოგებაზე;
- დაკისრებულ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების მარაგზე ან/და ფონდის ტრანსფერზე; და
- წარმომადგენლობის ხარჯს, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსში მოცემულ მაქსიმუმს.

განაწილებულ მოგებაზე საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია როგორც ხარჯი იმ მომენტისთვის, როდესაც დივიდენდები დეკლარირდება და აღირიცხება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადი" მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები იზომება იმ თანხით, რომელიც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისგან მიღებული ან გადახდილი თანხით.

გადასახადების შეცვლილი კონცეფციის გამო, აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12-ში „საშემოსავლო გადასახადი", არ გამოიყენება კორპორატიული დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები. – ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.
ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობები და ნაგებობები	5%
ავეჯი და მოწყობილობები	20%
საოფისე აღჭურვილობა	20%
ტრანსპორტი	20%
ტექნიკა და აღჭურვილობა	5-20%
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	20%

თუ არსებობს მინიშნება რომ მოხდა ცვეთის განაკვეთის,სასარგებლო სიცოცხლის ან აქტივის ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება, ამ აქტივის ცვეთა გადაიხედება პროსპექტიულად , რომ ასახოს ახალი მოლოდინები.

არამატერიალური აქტივები – - არამატერიალური აქტივები წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას. ამორტიზაციის აღიარება ხდება წრფივად შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში. ჯგუფის მფლობელობაში არსებული არამატერიალუი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შედგენს 5 წელს.

აქტივების გაუფასურება – ყოველი საანგარიშო თარიღისთვის ხდება ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის, არამატერიალური ქონებისა და ასოცირებულ კომპანიებში ინვესტიციების გადახედვა, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე მითითება იმისა, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურება. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენითი ღირებულება შეიძლება შეფასდეს და შევადაროთ მის საბალანსო ღირებულებას. თუ სავარაუდო ანაზღაურებადი თანხა უფრო დაბალია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის სავარაუდო ანაზღაურებად ოდენობამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, მარაგი ფასდება გაუფასურების მიზნით, ინვენტარის თითოეული საგნის საბალანსო ღირებულების (ან მსგავსი საგნების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებისას მისი გასაყიდი ღირებულების შემცირების და დასრულების ხარჯებთან. თუ ინვენტარის ერთეული (ან მსგავსი საგნების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გასაყიდი ფასის გამოკლებით დასრულების და გაყიდვის ხარჯებზე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შეცვალა, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან მასთან დაკავშირებული აქტივების ჯგუფი) იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებული შეფასებით (გასაყიდი ფასი, მარაგების შემთხვევაში, დასრულების და გაყიდვის ხარჯების გარეშე), მაგრამ არა იმ თანხაზე მეტი, რომელიც დადგენილი იქნებოდა, წინა წლის განმავლობაში აქტივისთვის (დაკავშირებული აქტივების ჯგუფისთვის) გაუფასურების ზარალის აღიარების შემთხვევაში. გაუფასურების ზარალის ანაზღაურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები – მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და რეალიზებადი ღირებულებით დაბალ ფასად. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების გაყიდვის სავარაუდო ფასს, დასრულების სავარაუდო ხარჯებისა და რეალიზაციისთვის საჭირო ხარჯების გამოკლებით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები – პირობითი ვალდებულებები არაა აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ისინი წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების შესაძლებლობა შორს არის. პირობითი აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაუდებელი შემთხვევა მოგვარდება.

ფინანსური ინსტრუმენტები – ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენის ან გამოცემისთვის (გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალისა), ემატება ან გამოიქვითება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებიდან, როგორც საჭიროა, თავდაპირველი აღიარების შესახებ. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეძენის ან ზარალის შეძენის შედეგად, მაშინვე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საწარმო ზომავს გრძელვადიან ფინანსურ სავალო ინსტრუმენტებს ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სესხის ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები ან მიმდინარე ვალდებულებები, იზომება ფულადი სახსრების არადისკონტირებული ოდენობით ან სხვა ანაზღაურებით, რომელის გადახდა ან მიღება მოსალოდნელია.

ფინანსური აქტივები – ჯგუფის ძირიტადი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი– ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებსა მოსალოდნელ მომავალ ფულად გადახდებს (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები *- ფული მოიცავს ნაღდ და საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულს.*

გაცემული სესხები – სესხები და სხვა მიღებული თანხები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული და განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც წარმოდგენილი არაა აქტიურ ბაზარზე. სესხები და სხვა ტიპის მიღებული თანხები იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების დანაკარგები, არსებობის შემთხვევაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება თუ არსებობს გაუფასურების ინდიკატორები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდგომ ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად, ინვესტიციის სავარაუდო ფულადი ნაკადები შეიცვალა.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით ანარიცხების ანგარიშის გამოყენებით. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას.. სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულ და მიღებულ ან მისაღები ანაზღაურებას შორის აღიარებულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები – კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახადებს და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსურ ვალდებულების აღიარებს წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შეწყდება ან ვადა გაუვა. სხვაობა აღიარებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის ასახულია მოგება-ზარალისანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი – შეტანილი კაპიტალი კომპანიის მიერ აღიარებულია ჯგუფის მიერ მიღებული რეალური შენატანის ღირებულების მიხედვით.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე -2 შენიშვნაში, კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულია გააკეთოს შეფასებები და დაშვებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების შესახებ, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ ჩანს. შეფასებები და მასთან დაკავშირებული დაშვებები ემყარება გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები განიხილება მუდმივად. ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების ცვლილებები აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც შეფასების გადახედვა მოხდება, თუ გადასინჯვა ეხება მხოლოდ ამ პერიოდზე ან გადასინჯვის პერიოდში და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება – კომპანია ახორციელებს ინდივიდუალურ შეფასებას 90 დღის განმავლობაში ვადაგადაცილებული მომხმარებლის დებიტორული დავალიანების შესახებ. მომხმარებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, ალბათობა იმისა, რომ მომხმარებელი გაკოტრდება ან მოხდება ფინანსური რეორგანიზაცია ს, და გაკოტრება ან გადახდების გადავადება ითვლება დებიტორული დავალიანების გაუფასურების მაჩვენებლად.

ჯგუფმა აღიარა საეჭვო დავალიანებების რეზერვი 100% -ით ყველა მისაღები მოთხოვნის მიმართ, რომელთა ვადაც აღემატებოდა1 წლის რადგან ისტორიული გამოცდილების თანახმად, მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული იყო 1 წელზე მეტით , არ ანაზღაურდება. საეჭვო დავალიანების რეზერვები აღიარებულია 50%-ით სავაჭრო მისაღები თანხების მიმართ 181 დღიდან 1 წლამდე, ხოლო 20%-ითსავაჭრო მოთხოვნებზე 91 დღიდან 180 დღემდე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებისგან, თუკი ძირითადი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესება მოხდება, ან დეფოლტის რეალური შედეგები უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანარიცხების ოდენობა, შესაბამისად, 416,344 და 110,617 ლარს შეადგენს.

დაკავშირებული მხარის დაფინანსების ოპერაციების საწყისი აღიარება. კომპანია ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს თავისთან დაკავშირებულ მხარეებთან. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებების ფასი უფრო დაბალი საბაზრო ან არასაბაზრო პროცენტით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი ოპერაციებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველია მსგავსი ტიპის ტრანსაქციების ფასი დაუკავშირებელ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაუფასურების შეფასება. მენეჯმენტი ახორციელებს გაუფასურების ტესტს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობისთვის, რათა შეაფასოს კომპანიის აქტივების შესაძლებლობა მომავალი ფულადი ნაკადების წარმოქმნისთვის; მომავალი ფულადი ნაკადების განსაზღვრა მოითხოვს მნიშვნელოვან განსჯას.

მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა. 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეიძინა მიწა 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. 700,000 აშშ დოლარი გადაიხადეს ჯგუფზე საკუთრების გადაცემისთანავე, 2020 წლის 1 ოქტომბერს, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდის ვადა 2025 წელია. მენეჯმენტმა განსაზღვრა გადახდის სავარაუდო თარიღი 2023 წლის 31 დეკემბრამდე. შესაბამისად, თანხა დადისკონტირდა სავარაუდო გადახდის თარიღიდან და აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 5,982,462 ლარის ოდენობით

4. წინა წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების გადაანგარიშება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისა და ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ჯგუფმა გამოავლინა წინა პერიოდის ისტორიულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებული შეცდომები.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჯგუფმა სწორად არ ჩამოწერა მარაგების თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა გადათვალა მარაგების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დაადგინა, რომ გადათვლილი ნაშთი 308,148 ლარით აღემატებოდა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის უკვე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხას.

2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	წინა ჩვენებით	კორექტირება	გადაანგარიშებული
მარაგები	5,295,358	308,148	5,603,506
სულ აქტივები	**11,772,874**	**308,148**	**12,081,022**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(4,457,369)	308,148	(4,149,221)
წლიური ზარალი	**(3,191,456)**	**308,148**	**(2,883,308)**

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე გადაფასებას ჰქონდა შემდეგი ეფექტი:

	წინა ჩვენებით	კორექტირება	გადაანგარიშებული
დაგროვილი ზარალი	(9,354,327)	308,148	(9,046,179)
სულ კაპიტალი	**1,662,467**	**308,148**	**1,970,615**

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე გადაანგარიშებას ჰქონდა შემდეგი ეფექტი:

	წინა ჩვენებით	კორექტირება	გადაანგარიშებული
ზარალი გადასახადებამდე	(3,174,960)	308,148	(2,866,812)
ცვლილება მარაგებში	292,992	(308,148)	(15,157)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	**(3,009,598)**	-	**(3,009,598)**

ვინაიდან 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებ ინფორმაციაზე წინა პერიოდის შეცდომას არსებითი ეფექტი არ ჰქონია, 2019 წლის 1 იანვრის ფინანსური მდგომარეობის მესამე ანგარიშგება წარმოდგენილი არ არის.

5. შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფის შემოსავლები შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	2019
შემოსავალი საბითუმო გაყიდვიდან	3,971,253	4,131,375
შემოსავალი საცალო გაყიდვიდან	266,207	327,850
სულ	**4,237,460**	**4,459,225**

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგებოდა:

	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ბითუმად გაყიდული საქონლის თვითღირებულება	3,970,283	3,792,596
საცალოდ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	242,994	356,625
სულ	**4,213,277**	**4,149,221**

7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები შედგებოდა:

	2020	2019
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	136,417	309,625
ტრანსპორტირებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	121,350	218,035
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	-	25,441
სულ	257,767	553,101

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა:

	2020	2019
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	753,538	489,368
გაუფასურების ხარჯები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, წმინდა	305,727	124,815
ქირის ხარჯები	130,670	137,338
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	98,396	57,280
საკონსულტაციო ხარჯები	64,463	77,063
მივლინების ხარჯები	45,106	154,483
ლაბორატორიის ხარჯები	34,918	35,007
ქონების გადასახადის ხარჯი	34,020	31,865
მასალების ჩამოწერა	24,141	391,077
ჩამოწერილ მარაგებზე დარიცხული გადასახადები	-	205,634
სხვა საოპერაციო ხარჯები	175,312	97,999
სულ	1,666,291	1,801,929

9. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ძირითადი საშუალებების მოძრაობას:

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და აქსესუარები	საოფისე ტექნიკა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი 2019	**26,310**	**2,164,027**	**2,993,552**	**268,575**	**55,960**	**24,239**	**5,182**	**5,537,845**
შეძენა	285,420	33,095	137,398	12,761	41,320	62,783	-	572,777
31 დეკემბერი 2019	**311,730**	**2,197,122**	**3,130,950**	**281,336**	**97,280**	**87,022**	**5,182**	**6,110,622**
შეძენა	7,991,936	96,318	10,958	7,041	28,318	-	-	8,134,571
31 დეკემბერი 2020	**8,303,666**	**2,293,440**	**3,141,908**	**288,377**	**125,598**	**87,022**	**5,182**	**14,245,193**
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2019	**-**	**295,252**	**1,862,733**	**108,185**	**18,980**	**7,079**	**972**	**2,293,201**
ცვეთის დარიცხვა	-	106,983	605,045	48,605	10,015	10,157	229	781,034
31 დეკემბერი 2019	**-**	**402,235**	**2,467,778**	**156,790**	**28,995**	**17,236**	**1,201**	**3,074,235**
ცვეთის დარიცხვა	-	106,549	504,104	19,803	44,781	17,435	1,315	693,987
31 დეკემბერი 2020	**-**	**508,784**	**2,971,882**	**176,593**	**73,776**	**34,671**	**2,516**	**3,768,222**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	**311,730**	**1,794,887**	**663,172**	**124,546**	**68,285**	**69,786**	**3,981**	**3,036,387**
31 დეკემბერი 2020	**8,303,666**	**1,784,656**	**170,026**	**111,784**	**51,822**	**52,351**	**2,666**	**10,476,971**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს მთლიანი ძირითადი საშუალებები გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 14).

10. გაცემული სესხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხების პირობები შემდეგი იყო:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
თელავის დისტილერი	USD	9%	2027	1,336,521	975,705
სულ გაცემული სესხები				**1,336,521**	**975,705**
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				-	-
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				1,336,521	975,705

11. მარაგები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგები შემდეგნაირი იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
ნედლეული და შესაფუთი მასალები	1,220,903	965,767
მიმდინარე წარმოება	4,067,881	4,104,034
მზა პორდუქცია	384,698	518,186
სხვა	8,925	15,519
სულ	**5,682,407**	**5,603,506**

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,667,004	2,258,460
გამოკლებული: საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(416,344)	(110,617)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	**2,250,660**	**2,147,843**

მოძრაობა საეჭვო მოთხოვნრების ანარიცხებში:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	**(110,617)**	**(30,038)**
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(305,727)	(80,579)
ნაშთი წლის ბოლოს	**(416,344)**	**(110,617)**

13. შეტანილი კაპიტალი

2019 წლის განმავლობაში საბოლოო აქციონერმა შეიტანა დამატებითი შენატანები, 853,762 ლარის ოდენობით.

2020 წლის განმავლობაში საბოლოო აქციონერმა შეიტანა დამატებითი შენატანები 155,027 ლარის ოდენობით და შეამცირა შეტანილი კაპიტალი 3,596,170 ლარის ოდენობით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეტანილმა კაპიტალმა შეადგინა 7,573,411 და 11,014,554 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

14. აღებული სესხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი აღებული სესხების პირობები იყო შემდეგი:

აღებული სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	11/03/2021	3,676,079	-
„კახეთი 3000"	USD	8.0%	01/10/2023	3,632,477	1,825,682
შპს „თობაქო ჰოლდინგი"	USD	7.4%	02/10/2021	2,487,540	2,027,068
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	14/09/2030	2,269,625	-
შპს „სმარტ თრეიდინგი"	USD	9.0%	25/02/2021	1,479,458	-
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	13.0%	16/09/2026	1,302,363	1,207,362
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	GEL	12.0%	04/03/2022	877,766	-
შპს „სმარ კაპიტალ გრუპი"	GEL	11.7%	13/11/2024	872,492	-
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	GEL	14.0%	07/08/2022	443,746	692,154
შპს „სმარ კაპიტალ გრუპი"	GEL	11.2%	13/11/2024	324,458	293,699
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	04/09/2030	292,392	-
თელავის ღვინის ქარხანა	USD	9.0%	25/07/2022	126,264	102,459
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	04/09/2030	97,696	-
„ხალიკ ბანკ ჯორჯია"	USD	8.0%	16/03/2020	-	2,872,759
სულ აღებული სესხები				**17,882,356**	**9,021,183**
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				6,475,454	3,292,250
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				11,406,902	5,728,933

სს „ჰალიკ ბანკი საქართველოსგან" აღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე (იხ. შენიშვნა 9).

ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან ("APMA"), რომლის თანახმად, APMA აფინანსებს სს „ჰალიკ ბანკი საქართველოსგან" 14% -იანი სესხის პროცენტიდან 11% -ს. თანადაფინანსების ხანგრძლივობაა 66 თვე და APMA წარმოადგენს სესხის ძირი თანხის 50% -ის გარანტს, თუ უზრუნველყოფის რეალიზაცია არ დაფარავს ფინანსური ინსტიტუტის წინაშე ვალდებულებას. შემოსავალი APMA-დან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში წარმოადგენს 311,645 ლარსა და 91,128 ლარს შესაბამისად და კლასიფიცირდება როგორც საგრანტო შემოსავალი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ფინანსური ხარჯი აღებულ სესხებზე წარმოადგენს 1,256,880 ლარსა და 651,160 ლარს.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მისი ნასესხები სახსრებისთვის, დაფარვის შეთანხმებული პერიოდებით, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
<3 თვე	5,308,887	2,850,012
3-12 თვე	1,166,567	442,238
>12 თვე	11,406,902	5,728,933
	17,882,356	**9,021,183**

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი		
სავაჭრო გადასახდელები	1,454,846	811,029
მიღებული ავანსები	39,086	11,451
სხვა გადასახდელები	19,731	20,494
სულ	**1,513,663**	**842,974**
გრძელვადიანი		
სავაჭრო გადასახდელი მიწის შესყიდვიდან	5,982,463	-
სულ	**5,982,463**	-

გრძელვადიანი გადასახდელები მოიცავს 2020 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის გადასახდელებს. მათი დაფარვის ვადა გადის 2025 წლის დეკემბერში. ფინანსური ხარჯი შეადგენს 113,695 ლარს.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები:

	31 დეკემბერი 2020			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
გაცემული სესხები	-	1,336,521	-	**1,336,521**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	470,463	810,828	**2,250,660**
მიღებული სესხები	1,196,950	4,093,262	3,632,477	**17,882,356**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	32,223	165,345	**1,513,663**

	2020			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
შემოსავალი	23,464	398,697	1,451,550	**4,237,460**
ფინანსური შემოსავალი	-	79,993	-	**79,993**
ფინანსური ხარჯი	50,702	371,831	263,903	**1,370,575**

	31 დეკემბერი 2019			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
გაცემული სესხები	-	975,705	-	**975,705**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	22,915	1,145,757	**2,147,843**
აღებული სესხები	293,699	2,129,527	1,825,682	**9,021,183**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	4,931	183,345	**842,974**

	2019			
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
შემოსავალი	-	69,716	2,215,082	**4,459,225**
ფინანსური შემოსავალი	-	29,880	-	**29,880**
ფინანსური ხარჯი	-	86,817	90,987	**651,160**

ძირითადი მმართველი პერსონალის ანაზღაურება

2020 და 2019 წლების განმავლობასი მენეჯმენტის ანაზღაურება განისაზღვრა 191,250 ლარითა და 122,000 ლარით, შესაბამისად.

17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები -2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არსებითი გარანტიები არ ჰქონია.

სამართალწარმოება დავები – 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე დავის სამართალწარმოებაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება არ მოხდება და შესაბამისად, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული დებულებები.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანზაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო წლები საგადასახადო ორგანოების განსახილველად ღია 3 წლის განმავლობაში რჩება.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს

ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

კოვიდ-19 – გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რასაც 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. ბევრი ქვეყნის მიერ კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად მიღებული ზომები მრავალი კომპანიისათვის მნიშვნელოვან საოპერაციო შეფერხებებს იწვევს და დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაციის სწრაფი განვითარების გამო, ამან შეიძლება ბევრ სექტორში მოღვაწე კომპანიის ბიზნესებზე იმოქმედოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეაფერხოს ბიზნესის ოპერირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ან ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების ქსელის გაწყვეტის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო. შედეგად, ჯგუფზე კოვიდ-19-ის მზარდი ეფექტი შეიძლება აისახოს გლობალურ ეკონომიკაზე და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამო. კომპანიის ხელმძღვანელობა აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციაში მიმდინარე ცვლილებებს და იღებს აუცილებელ ზომებს ახლო მომავალში ჯგუფის სტაბილურობისა და განვითარების ტენდენციის შესანარჩუნებლად. თუმცა, ჯგუფის ბიზნესზე კოვიდ-19-ის ეფექტის მნიშვნელობა დიდწილადაა დამოკიდებული ხანგრძლივობასა და მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტზე. ამჟამად ჯგუფის ოპერაციების მომავალ შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ეკონომიკური გარემოს ცვლილებების ეფექტის დადგენა რთულია.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წელს ჯგუფმა მიიღო 1,814,455 ლარის ღირებულების დამატებითი დაფინანსება საბოლოო მშობელი კომპანია შპს „სმარტ კაპიტალ ჯგუფისგან“.

ჯგუფმა გადაუხადა სს „ხალიკ ბანკ საქართველოს” 3,676,079 ლარის სესხი და მიიღო იმავე ღირებულების ახალი სესხი დაფარვის ვადით 2022 წლის 10 მარტამდე და 8%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი.

ჯგუფმა მიიღო სს „ხალიკ ბანკი საქართველოსგან“ 340,000 აშშ დოლარის სესხი მოსავლის აღების მიზნით. სესხი დაფარვის ვადაა 2023 წლის 15 სექტემბერი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

მმართველობითი ანგარიშგება

ქვეყნის მიმოხილვა

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, კერძოდ კავკასიაში. 2008 წლიდან მოყოლებული, საქართველომ მსხვილ პარტნიორ ქვეყნებთან გააფორმა ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ. ასევე ძალიან სტაბილური და სანდოა საბანკო სისტემა. ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასულია ორი მთავარი ბანკი, რომლებიც ხელმისაწვდომ ფინანსებს უზრუნველყოფს. ეს კი წარმატებული ბიზნესის ერთერთი მთავარი წინაპირობაა.

ქართული ღვინო სხვადასხვა ქვეყანაში 284 კომპანიას გააქვს და ადგილობრივ ბაზარზეც მოიხმარ. ბოლოდროინდელი მონაცემებით, საქართველოსთვის ხუთი მთავარი საექსპორტო ბაზარია რუსეთი (58 მილიონი ბოთლი), უკრაინა (11 მილიონი ბოთლი), პოლონეთი (5.2 მილიონი ბოთლი), ჩინეთი (4.6 მილიონი ბოთლი) და ბელორუსია (3.7 მილიონი ბოთლი). ასევე საგრძნობლად გაზრდილია გაყიდვები გერმანიაში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში.

ჯგუფის მიმოხილვა

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია დავით აღმაშენებლის ქუჩა 179 ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბრენდირებული ღვინის წარმოება და დისტრიბუცია საქართველოში და საზღვარგარეთ. 2017 წლის ივნისში კომპანიამ დააფუძნა 100%-იანი წილით ფლობილი შვილობილი შპს „შილდა დისტრიბუცია“ და 51%-იანი წილით ფლობილი შვილობილი შპს „შილდა ჯივი“. ორივე შვილობილი დაკავებულია ღვინის დისტრიბუციით, რომელიც წარმოებულია „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიისა“ და ერთობლივ კონტროლქვეშ მოქცეული პირის შპს „თელავის ღვინის ქარხნის“ მიერ.

ჯგუფის წარმოება ფრანგული და იტალური აღჭურვილობითაა წარმოდგენილი. მისი წლიური წარმადობა შვიდი მილიონი ბოთლია, ხოლო 52 ავზში 1,500,000 ლიტრი ღვინის შენახვა შეიძლება. მეღვინეობის მთავარი მიზანია მაღალი ხარისხის შენარჩუნება საუკუნოვანი ცოდნისა და ინოვაციების კომბინირების საფუძველზე.

ჯგუფის ღვინოები საერთაშორისო დონეზეა აღიარებული და გაუმარჯვია პრესტიჟულ კონკურსებზე, მათ შორის „დეკანტერში“, „მუნდუს ვინიში“, „ინთერნეიშენალ ვაინ ჩელენჯში“ და სხვა.

ამჟამად ჯგუფი აწარმოებს ოცზე მეტი დასახელების ღვინოს.

არაფინანსური ინფორმაცია

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიამ“ გაყიდვები 2017 წელს დაიწყო და ერთ წელიწადში მიაღწია წელიწადში 1 მილიონი ბოთლის გაყიდვების მოცულობას. კერძოდ:

- გაყიდვების 76% მოდის რუსეთზე;
- გაყიდვების 9% მოდის ჩინეთზე;
- გაყიდვების 5% მოდის ბრაზილიაზე;
- გაყიდვების 10% მოდის ევროპაზე.

კომპანიის უმსხვილესი კლიენტები არიან რუსეთიდან („ვინისტილი“, „ალიანტა გრუპი“, სავაჭრო სახლი „რუსიმპორტი“) და ჩინეთიდან („შანგჰაი ქი პან ტრეიდინგ კო“, „აგრიქალჩარ გრუპი“, „ფოშან ბლექ სი ვაინ კო“).

2021 წელს კომპანიების ღვინოები წარმოდგენილია რუსეთის უმსხვილეს ეროვნულ საცალო მაღაზიაში - „წითელი & თეთრი“)

ამავე წლის შემოდგომაზე კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულებები „ამბერ დისტრიბუციასთან“ (ბალტიისპირეთის უმსხვილესი იმპორტიორი), „იმპორტ საუდასთან“ (ქართული ღვინის მეორე უმსხვილესი იმპორტიორი ყაზახეთში) და „მონტე ბიანკოსთან“ (ყაზახეთში პრემიუმ ღვინის ერთ -ერთი უმსხვილესი იმპორტიორი).

პირის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

ჯგუფის გაყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება კრედიტით. კრედიტის ვადები ნულიდან 60 დღემდე მერყეობს. ჯგუფში არის ვადაგადაცილებული მოთხოვნების ნაშთები, რომელთა რეზერვირდება კომპანიის ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვირების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან კრედიტის ვადა ნულიდან 60 დღემდე მერყეობს.

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, წარმოების მიზანი და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	სავალუტო რისკი - საქონლის ნაწილის ყიდვა-გაყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი. ამ ფაქტის გამო, პრობლემატურია აგრეთვე ფასის კორექტირება.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებას, ადგენს მოკლე და გრძელვადიან მოლოდინებს და შესაბამისად გეგმავს ყოველთვიურ და ყოველწლიურ ბიუჯეტებს.
2	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მოგებაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკურ მოვლენებს, რათა განჭვრიტოს პოტენციური შედეგები და გააკეთოს აუცილებელი და ადეკვატური ცვლილებები.
3	კოვიდ-19-ის რისკი - ბიზნესის ოპერაციების შეწყვეტამ, წარმოების შეწყვეტის ან ობიექტების დახურვის გამო, მიწოდების ქსელის ჩავარდნამ, პერსონალის კარანტინმა შეამცირა მოთხოვნა და გაართულა დაფინანსების მოზიდვა.	მენეჯმენტი ყველა ზომასა და ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციას ითვალისწინებს, რათა ოპერაციები შესაბამისობაში იყოს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან და ჯგუფს არ მოუხდეს ოპერირების შეწყვეტა.

მომავალი პერსპექტივა

ალკოჰოლურ პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება. კომპანიას დაგეგმილი აქვს, 2021 წლისათვის წელიწადში 3 მილიონი ბოთლის გაყიდვებს მიაღწიოს და შემდგომ წლებში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზარდოს.

ჯგუფი გეგმავს ვენახების გაშენებას მარაგების თვითღირებულების შემცირებისა და მთლიანი მარჟის გაზრდის მიზნით. ვენახების გაშენება უკვე დაწყებულია.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211097164
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.10.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	10017580388021

ორიათას ოცდაერთი წლის პირველ ოქტომბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის მანანა დავითაშვილის, დაბ. 17.09.1983წ. პირადი #01013015188, პირადობის მოწმობა #13IB96864/დიპლომი #სტუ #018848, გაცემული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 21.03.2005წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - ჯგუფი "ქართული ვიზისა და ღვინის კომპანია" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბერს დამტავრებული პერიოდისთვის, თარგმნაზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ თარჯიმნის ხელისმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან დოკუმენტის ნამდვილობას.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 54.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 56 (ორმოცდათექვსმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

